ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2024 წლის 28 მაისი

ქ. ლანჩხუთი

„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №16 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 27/05/2022 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016482) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 მუხლის შემდგომ დაემატოს 2^1 მუხლი:

„2^1 მუხლი

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად განისაზღვროს:

ა) მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ არეალში, II კლასის ობიექტებისთვის – 50 ლარი;

ბ) III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარი;

გ) IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარი;“;

ბ) დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული დანართის „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტი

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია ახალი მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან დემონტაჟისთვის გათვალისწინებული ობიექტი, რომელზედაც გაიცემა მშენებლობის ნებართვა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**